თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ლომი და ეშმაკი ტურები

იყო ერთი ლომი. ოდესღაც ძლიერი და მრისხანე ისე დაბერდა და დაუძლურდა, რომ განძრევაც კი უჭირდა. სადღა იყო უწინდელი დიდება და ბედნიერი ცხოვრება. მისი არც არავის ეშინოდა და არც არავინ ემორჩილებოდა. შიმშილმაც ძალიან შეაწუხა.

ერთხელ ლომი დიდი წვალებით მილასლასდა ტბის პირას. უნდოდა წყლის დასალევად გამოსულ რომელიმე ნადირს დადარაჯებოდა, დაეჭირა და მუცელი გაეძღო. შუადღისას ტბასთან ორმა ტურამ მიირბინა. დედალმა ტურამ ბუჩქებში ჩასაფრებული ლომი შეამჩნია, მაგრამ უკან გაქცევა უკვე გვიან იყო.

„რა ვქნათ, თავს როგორ ვუშველოთ?“ — გაიფიქრა ცბიერმა ტურამ. უცებ ერთმა აზრმა გაუელვა და მამალ ტურას ხმამაღლა უთხრა:

— სამი ჩემთან დარჩეს, ორი კი — შენთან. თუ გინდა, წავიდეთ და ლომს შევეკითხოთ, აბა რას გვეტყვის.

ტურებმა ლომთან მიირბინეს და მიესალმნენ. დედალმა ტურამ ჰკითხა:

— ბრძენთაბრძენო, დიდებულო ლომო, ჩვენო მეფევ, გთხოვთ ალალმართლად განგვსაჯოთ. მე და ჩემი მეუღლე წავიჩხუბეთ და მინდა გავეყარო, მაგრამ ლეკვები ვერ გაგვიყვია. ის გაიძახის, სამი მე მეკუთვნისო. მე ვეუბნები, სამი ჩემია, ორი კი შენი-მეთქი. თუ ნებას დაგვრთავთ, აქ მოვიყვანთ ჩვენს ლეკვებს. თქვენ თვითონ ნახეთ და სწორად გაგვიყავით.

ლომმა მოისმინა დედალი ტურის სიტყვები. სიხარბემ სძლია. გაიფიქრა: რაღა ეს ორი შევჭამო, მოდი, ცოტასაც მოვიცდი და ერთბაშად შვიდ ტურას შევსანსლავო.

— კარგი, მომიყვანეთ, ვნახავ და ჩემს გადაწყვეტილებას მერე გეტყვით, — უპასუხა ლომმა.

LIVEWORKSHEETS

— ხომ გესმის? — უთხრა დედალმა ტურამ მეუღლეს. — აბა მალე დალიე წყალი, გაიქეცი და ჩვენი ლეკვები მოიყვანე.

ტურამ წყალი დალია და გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ დედალმა ტურამ ლომს უთხრა:

— თქვენ არ იცით, რა ზარმაცია ჩემი მეუღლე. აი, ხომ უბრძანეთ, მალე მოდიო, ის კი დასაძინებლად მიეგდებოდა. დილიდან საღამომდე წევს და სძინავს. ნამდვილი ძილისგუდაა, ამიტომ ვართ მეცა და ჩემი ლეკვებიც სულ მუდამ მშივრები. თუ ნებას მომცემთ, შინ გავიქცევი, იმ ზარმაცს კარგად შევაფუცხუნებ და ლეკვებიანად გეახლებით.

ლომს ამასობაში უფრო მოშივდა.

— გაიქეცი და ახლავე აქ გაჩნდით! — დაიღრიალა მან.

დედალმა ტურამ სწრაფად დალია წყალი, გაიქცა და თავის სოროში მიიმალა.

დიდხანს უცადა ბებერმა ლომმა, მაგრამ ამაოდ. ტურები არსად ჩანდნენ. მაშინ მძიმედ წამოდგა და ზოზინით გაჰყვა კვალს. კვალმა ტურების სოროსთან მიიყვანა. ლომმა შესძახა:

— აბა გარეთ გამოდით!

— დიდებულო ლომო, ჩვენ აღარ ვიყრებით და უთქვენოდაც მოვრიგდებით, — ერთხმად უპასუხეს ტურებმა.

რა ექნა ლომს, ძალით ტურებს ვერ გამოიყვანდა სოროდან. იძულებული იყო, ბედს შერიგებოდა. ასე დარჩა ლომი პირში ჩალაგამოვლებული.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. ზღაპრის პირველი აბზაციდან ვიგებთ:

ა) რაზე ოცნებობდა ლომი.

ბ) რატომ დაუძლურდა ლომი.

გ) სად ბინადრობდა ლომი.

LIVEWORKSHEETS

2. რა მიზნით მივიდა ლომი ტბის პირას?

ა) რომელიმე მხეცი რომ დაეჭირა.
ბ) ტურებისთვის რჩევა რომ მიეცა.
გ) ცივი წყალი რომ დაელია.

3. რატომ უწოდებენ ტურები ლომს „ბრძენთაბრძენს?“

ა) ამით პატივისცემას გამოხატავენ.
ბ) ეშინიათ და მლიქვნელობენ.
გ) მართლა ბრძნად მიაჩნიათ.

4. თავის გადასარჩენად დედალმა ტურამ ლომს სთხოვა:

ა) ლეკვების გაყოფაში დაგვეხმარეო.
ბ) ნადირობაში დაგვეხმარეო.
გ) საფრთხისგან დაგვიცავიო.

5. როგორ დააღწია თავი დედალმა ტურამ ლომს?

ა) თავი შეაბრალა, ქმარი შიმშილით გვკლავსო.
ბ) ლომს მიეპირფერა და სამართლიანობა შეუქო.
გ) შეჰპირდა ქმარ-შვილს მე თვითონ მოგიყვანო.

6. რატომ არ შეჭამა ლომმა ტურები?

ა) დახმარება გადაწყვიტა.
ბ) სიხარბემ სძლია.
გ) ძალიან შეეცოდა.

7. რა იგულისხმა ტურამ სიტყვებში: „კარგად შევაფუცხუნებ“?

ა) ავაჩქარებ. ბ) გავკიცხავ. გ) დავეხმარები.

LIVEWORKSHEETS

8. „მძიმედ წამოდგა და ზოზინით გაჰყვა კვალს“. რაზე მიუთითებს სიტყვა ზოზინი?

ა) ლომის სიზარმაცეზე.
ბ) ლომის სიფრთხილეზე.
გ) ლომის უძლურებაზე.

9. რა უთხრეს ცბიერმა ტურებმა სოროსთან მისულ ლომს?

ა) აღარ გვინდა გარეთ გამოსვლაო.
ბ) გაყრა გადავიფიქრეთო.
გ) შვილები თვითონ გავიყავითო.

10. რას ნიშნავს გამოთქმა „პირში ჩალაგამოვლებული?“

ა) გაოცებულს. ბ) მოტყუებულს. გ) შეშინებულს.

11. რას ნიშნავს სიტყვები: ,,იძულებული იყო ბედს შერიგებოდა“?

ა) იძულებული იყო თავისი შეცდომა გამოესწორებინა.
ბ) იძულებული იყო თავის მდგომარეობას შეგუებოდა.
გ) იძულებული იყო საკუთარ შეცდომაზე რაღაც ესწავლა.

12. რას გვასწავლის ეს ზღაპარი?

ა) მატყუარას არ უნდა ენდო.
ბ) სიხარბეს სიკეთე არ მოაქვს.
გ) ტყუილის თქმა არ შეიძლება.

LIVEWORKSHEETS